ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲕᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 20 (20361) — ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ

● „2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ სანარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებების პროექტში“ სამთო მრეწველობა სათანადოდ არ არის ნარმოდგენილი — მიიჩნიათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არჩილ ძიძიგურს და წევრ-კორესპონდენტს ირაკლი ზურაბაშვილს.

მე-2 გვ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

სასურსათო პროგრამა
● ივარა მკვიდრდება.
● ნოლაეთი: როგორ იზამთრებს ჩვენი ცხვარ-მეცხვარე.
მე-2 გვ.

კურორტი და დამსვენებელი
● რა უჭირთ და რა ულირთ ადგილობრივ კურორტებს.
● არა გვაქვს მეცდომის უფლება.
მე-4 გვ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მიზანი — საბოლოო შედეგი

რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, რომელიც სულ უფრო სწრაფად ხორციელდება, დღეს განსაკუთრებულ მოთხოვნას უყენებს არა მარტო საბჭოთა, სამეურნეო, არამედ, უწინარესად, პარტიულ ხელმძღვანელებს. სწორედ პარტიულ კომიტეტებში, მათ შორის ადგილებზეც, უნდა ამოქმედდეს გარდაქმნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი ფორმები და მეთოდები ცხოვრების ყველა სფეროში, უმთავრესად სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

ასეთი მოთხოვნა წამოყენებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროვნის გაფართოებულ სხდომაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და პირველი კვარტალისა და მთლიანად. 1989 წლის საგეგმო დავალებათა წარმატებითი რეალიზაციის ამოცანები.

ეხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

აღინიშნა, რომ განვლილი წელი რთული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი პროცესებით ხასიათდებოდა. წარმატებებთან ერთად იყო სერიოზული სიძნელენი, პრობლემები, რომლებიც ახალ წელსაც გადმოგვყვა. მაგრამ დამამშვიდებელია მუშაობის მთავარი შედეგი. შედეგი კი ის არის, რომ განხორციელდა გადასვლა ეკონომიკური ექსპერიმენტებიდან ახალი სამეურნეო მექანიზმის მასირებულ დანერგვაზე. და თუმცა ეს რთულად მიმდინარეობდა, ზოგჯერ ცდებისა და მცდარი მეთოდითაც, დაისახა რესპუბლიკის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მკაფიო პერსპექტივა.

განვლილი წლის შედეგები საერთოდ პოზიტიურად შეფასდა. და იყო ამის საფუძველიც. მაგალითად, გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. დადებითი ფერები მოხდა სახელმწიფოს რესურსებით დაცვაში. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით 98,9 პროცენტით შესრულდა, რაც რამდენადმე მაღალია 1987 წლის დონესთან შედარებით. შესრულდა მეტწილად უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი.

უკეთ მუშაობენ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასული საწარმოები. ძალას იკრებს კოოპერაციული მოძრაობა. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, შაქრის ჭარხლის შესყიდვის დავალებანი. რეალიზებულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ობიექტებზე მშენებლობის გეგმები.

მაგრამ კეთილ საქმეთა ეს ნუსხა თვითდამშვიდების საფუძველს არ შეიძლება გვაძლევდეს, აღნიშნეს ორატორებმა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მთელ რიგ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმო-ორგანიზაციათა კომუნისტი ხელმძღვანელების მუშაობას არცთუ იშვიათად თან ახლდა ხარვეზები, გადაუჭრელი პრობლემები. სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გარდაქმნის პროცესი ზოგან ძალიან ნელა მიმდინარეობს, არ ხასიათდება ჯეროვანი სიმკაცითა, ინიციატივიანობით, ცვლილებათა ბედისათვის პასუხისმგებლობით. ამიტომაც ახალი სამეურნეო მექანიზმის უპირატესობანი ყველთვის მთლიანად ვერ ხორციელდება.

განვლილ წელს საგეგმო დავალებებს თავი ვერ გაართვა 125-მა საწარმომ და გაერთიანებამ, რომლებმაც პარტნორობა და მომზარებლებს დააკლეს 114 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა სულ 102,7 პროცენტი შეადგინა, წლიური დავალებებით გათვალისწინებული 105,1 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერების დონე შეამცირეს საწარმოთა 29,1 პროცენტმა. ვერ შესრულდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პირობებში მთავარი განმაზოგადებელი შაჰვეწბლის — მოგების გეგმა. ეს სახაგრომრეწვის, მშენებლობის სამინისტროს, რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაშვებული ჩამორჩენის შედეგია. განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებებმა „ელექტროაპარატმა“, „საქელექტრომანქანამ“, „ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანამ“, „ჩარხმშენებელმა“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანამ“ და სხვებმა. არიერგარდში მყოფთა შორის აღმოჩნდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები, ცხინვალის „მინანქარსადენი“, აგრეთვე კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 4,7 მილიონი მოგების ნაცვლად 4,8 მილიონი მანეთი იზარალა.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აგროსამრეწველო კომპლექსში საქმის ვითარებას. რესპუბლიკის ეკონომიკის აგრარულ სექტორში სერიოზულმა საწარმოო და ორგანიზაციულმა ნაკლოვანებებმა გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია მრავალი უმნიშვნელოვანესი პარამეტრის მიხედვით. მაგალითად, კარტოფილის შესყიდვის სახელმწიფო შეკვეთა შესრულდა მხოლოდ 76,1 პროცენტით, ყურძნისა — 88,4 პროცენტით.

ამავე დროს ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელი ნაცვლად იმისა, რომ გაანალიზოს წარუმატებლობათა მიზეზები, პოლიტიკური შეფასება მისცეს მათ, დარაზმოს კომუნისტები და ყველა მშრომელი დასახულის უთუოდ შესრულებისათვის, ჯიუტად აყენებს შემცირების მიზნით გეგმების კორექტირების საკითხს. ეს შეუწყნარებელია, უწინარესად იმიტომ, რომ ანელებს საწარმოო პროგრამების რეალიზაციის ტემპს, ვერ უზრუნველყოფს მაღაზიების დახლების უხვად უზრუნველყოფას საჭირო პროდუქციით. ზოგან კი ცდილობენ საგეგმო დავალებათა ჩაშლა, როგორც ეს მოხდა ხილთან დაკავშირებით, ანაზღაურონ მოსახლეობისაგან შესყიდვის ხარჯზე.

ასეთ ფაქტებს სხდომაზე პრინციპული პარტიული შეფასება მიეცა. აღინიშნა, რომ საჭიროა გამოიჩინონ მეტი სიმტკიცე, კომპეტენტურობა, გამოძებნონ წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევის ოპტიმალური გზები, ფართოდ გამოიყენონ კოოპერაცია, გააერთიანონ ძალები საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად. კერძოდ, ისეთი დიდი მეცხოველეობის კომპლექსების მუშაობის სტაბილიზაციისათვის, როგორიც არის ჯანდარისა და წნორის კომპლექსები, მათთან მტკიცე, ურთიერთნელსაყრელი თანამშრომლობა უნდა მოაგვარონ რაიონებმა, ცალკეულმა მეურნეობებმა.

გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მუშაობის სტაბილიზაცია ამიერკავკასიის რკინიგზაზე, რომელიც ქრონიკულად ვერ ართმევს თავს ტვირთის გაგზავნის გეგმას. გაიზარდა ვაგონების მოცდენა, მათი ბრუნვისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციათა დრო, შემცირდა შემადგენლობათა საუბნო სიჩქარეები. ცუდად დაძაბული მდგომარეობაა მშენებლობაშიც, სადაც ვერ შესრულდა საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ამოქმედების გეგმები, ვაჭრობის განვითარებაში, რომელმაც ჩაშალა საქონელბრუნვის გეგმის რეალიზაცია.

ყოველი პარტიული მდივანი დღეს მოვალეა იყოს, უწინარესად, პოლიტიკური ხელმძღვანელი, ზუსტად იცოდეს, გრძნობდეს ადამიანთა განწყობილებას, ამბებისა და მოვლენების მაჯისცემას. ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობა უნდა ხორციელდებოდეს კომუნისტ ხელმძღვანელთა მეშვეობით, უწინარესად მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გადადების - გზით. არ შეიძლება დავუშვათ, როგორც ეს ჯერ კიდევ ხდება, როცა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ჩამოშორდნენ რა მართვას, ურიგდებიან იმას, რომ ამ ფუნქციებს არ ასრულებდნენ ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებიც, რომლებმაც ამის შედეგად თვითდინებას მიანდეს ეს უმნიშვნელოვანესი საქმე.

მეორეო და კულტურულ მშენებლობაში სერიოზულ სიძნელეებს ქმნის ის ფაქტი, რომ მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, პრეველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტი ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ თვეების, ზოგჯერ კი წლების განმავლობაში როგორც შრომითი კოლექტივებს, ისე რეგიონების, მთელი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებებს. ეს მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს და უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაზე.

მომთხოვნელობა, საგნობრივობა ახასიათებდა გაფართოებული სხდომის მუშაობის მიმდინარეობას. თითოეულისადმი მოთხოვნა კონკრეტული იყო, შეფასება — მკაცრი, რეკომენდაციები — საქმიანი. სხდომის მონაწილეებმა, რომლებმაც არასაკმარისად შეაფასეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზაციისათვის რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მუშაობა, მტკიცედ მოსთხოვეს თითოეულ კომუნისტს შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღონ იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ახალი ეკონომიკური მექანიზმის ბუქსობას იწვევს.

კომუნისტ ხელმძღვანელებს კონკრეტული დავალებანი მიეცათ. განისაზღვრა პირველი კვარტალისა და მთელი წლის დაძაბული საგეგმო დავალებების უთუოდ შესრულების გზები, განიხილეს წინადადებანი, რომელთა მიზნია რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშზე გადასასვლელად რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მომზადების დაჩქარება.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐ: ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

უკუგება თავისით არ მოდის

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონის მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობამ უკანასკნელ წლებში დათმო პოზიციები. შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის მოშლამ კოლმეურნეობა საკალალო მდგომარეობამდე მიიყვანა, შემცირდა ძირითადი დარგის — მეცხოველეობის შემოსავალი და პროდუქტიულობა, საკვებწარმოება, სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვა, კოლმეურნეობის შემოსავალი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. ბევრ კოლმეურნეს გული გაუტყდა, საზოგადოებრივ მეურნეობასაც ჩამოსცილდა და მშობლიურ სოფელსაც, გარე სამუშაოზე მიდიოდა...

ამ ძნელბედობის უამს კოლმეურნეებმა თავიანთ წინამძღოლად აირჩიეს გამოცდილი ეკონომისტი არჩილ ჯღუთაშვილი, რომელიც დუშეთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ეკონომისტი იყო. ძნელი მემკვიდრეობა მიიღო მან, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტი საქმეს არ შეუშინდა, თავიდანვე სწორი გეზი აიღო: გამგეობის შემადგენლობაში შემოიყვანა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით დაინტერესებული, გარდაქმნის სულისკვეთებით განწყობილი ადამიანები, დაეყრდნო პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს. საქმეც ადგილიდან დაიძრა, წალმა შეტრიალდა.

ამჟამად კოლმეურნეობაში ხორციელდება რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲘᲜᲬᲐᲫᲔᲛ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲯᲦᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ მიმართა ტრადიციული სამი შეკითხვით:

1. რა და როგორ გაკეთდა საწარმოში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად?

2. რა სიძნელეები და პრობლემებია ამ მხრივ, რა ეონისძიებებს ახორციელებთ მათი ოპერატიული გადაწყვეტისათვის და როგორია ამ მუშაობის ეფექტიანობა?

3. შეძლებს კოლმეურნეობა ახალ სამეურნეო წელს გამართულად ფუნქციონირებას?

სამი შეკითხვა საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელს

როგორ ემზადებოდა ჩვენი კოლმეურნეობა რადიკალური ეკონომიკური რეფორმისათვის?

ფართო გზა გაეხსნა კოლექტიურ და საოჯახო იჯარას, რომელიც დაინერგა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ყველა საწარმოო ბრიგადაში, მეღორეობისა და მეცხოველეობის ფერმებში, საკვებწარმოებაში. ახლა ყველა მშრომელი ცდილობს ნაყოფიერად და ეკონომიურად გაისარჯოს, შეამციროს საწარმოო ხარჯები, მეტი გამოიმუშაოს და მეტიც მიიღოს. ვაკანტუროდ ფარული ჩამოსვლა მათეთის ხარჯვას, დახარჯულის უკუგებას, ყოველი თვის, კვარტალის, ნახევარი წლის, წლის შედეგების მიხედვით ვინდენთ ეკონომიკურ ანგარიშს. რა თქმა უნდა, შედეგებმაც არ დააყოვნა. შარშან პირველად კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახის პირუტყვის სულადობის, ნამატის მიღების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, მნიშვნელოვნად შემცირდა საკვები ერთეულების ხარჯვა, თვითღირებულება. მაგალითად, თითოეული ცენტნერი რძის წარმოებაზე დანახარჯები შევამცირეთ 6,70, ცენტნერი ხორცისა — 67,54, მატყლისა — 66,35 მანეთით, შემცირდა აგრეთვე პირუტყვის გაწყდომისა და იძულებით დაკვლის ფაქტები, წინა წლთან შედარებით ფულადი შემოსავალი თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა.

კარგი სტარტი ავიღეთ ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდან. ამჟამად ფერმებში გვყავს საგეგმოსთან შედარებით გაცილებით მეტი ძროხა, ღორი, ცხვარი, საგეგმოზე მეტია წონამატება, წველადობა, მიღებულია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტი ნამატი. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პროდუქციის ხარისხს. სახელმწიფოს ბარდება ძირითადად მაღალი ცხიმიანობის რძე და ნასუქი პირუტყვი, რომლის წონა საგრძნობლად აღემატება ჩასაბარებლისას.

მეტი ყურადღებით ვეკიდებით საკვების სწორად ხარჯვას. პირუტყვს მას ძირითადად შემზადებული სახით ვაძლევთ, რითაც თავიდან არის აცილებული საკვების დანაკარგები. ყველაფერი ეს საგრძნობ უკუგებას გვაძლევს.

მიუხედავად ამისა, სიძნელეები და პრობლემები, ცხადია, საკმაოდ გვაქვს. ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდთოვლობის, მეწყრისა და ზვავების შედეგად ეროზირებული გახდა სათიბ-საძოვრების დიდი ნაწილი, რის გამოც საკმარისად ვერ ვამზადებთ საკუთარი წარმოების უხეშ საკვებს, დანაკლისს ვავსებთ რაიონის გარეთან ძვირადღირებული საკვების შემოტანით. ამასთან შარშან უსაშველოდ გაიზარდა ᲯᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ საკვების ფასი — 99 მანეთიდან 170 მანეთამდე, რის გამოც პროდუქციის წარმოება გათვალისწინებულზე ძვირი გვიჯდება. კოლმეურნეობისათვის ეს საკითხები მეტად მტკივნეულია და ყველაფერს ვღონობთ მისი გადაწყვეტისათვის. კოლმეურნეთა დაინტერესების გაზრდის მიზნით შარშან თითოეული ტონა თივის დამზადებისა და ჩამოტანის ფასი 30 მანეთიდან 40 მანეთამდე გავზარდეთ. იმათ კი, ვინც მთებიდან 30 ტონა თივას ჩამოიტანს და ფერმებთან დაზვინავს, დამატებით მიეცემა 1,5 ტონა თივა ნატურით, ან 80 მანეთი. გვაუმჯობესოთ სათიბ-საძოვრების კულტურა, უზრუნველვყოთ პირუტყვი საკუთარი წარმოების საკვებით — ეს არის ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი.

თივას პრემიად ვაძლევთ აგრეთვე ცხვრის მპარსავებს, რომლებიც ათას სულსა და მეტ ცხვარს გაპარსავენ. ამან გაზარდა კოლმეურნეობის წევრთა დაინტერესება, რადგან მათ თივა საკუთარი პირუტყვისათვის სჭირდებათ. ისინი ავტიურად მპარსავენ ცხვრის პარსვაზე, რის მეოხებითაც საშუალება გვაქვს აღარ დავიქირაოთ მპარსავები, რომლებიც მხოლოდ მოგებით იყენენ დაინტერესებული და ცხვარს დაგვიანებით და უხარისხოდ პარსავდნენ, მატყლს კი კანძებად არ აწყობდნენ და არ აბინავებდნენ.

მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ უკანასკნელ წლებში ცუდი იყო კოლმეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ახლა გაცილებით ნაკლებ ავტომანქანებს, სათადარიგო ნაწილებს, საშენ მასალებს, ფერმების მექანიზმებს და საწვავ-საცებს ვღებულობთ. არადა, ძველებურად მუშაობა აღარ გვარგებს, მეცხოველეები გაურბიან ძძიმე ფიზიკურ შრომას და მათ როგორმე უნდა შევაშველოთ ხელი. „ზემოდან“ მარტო მოთხოვნები კი არა, ყურადღება და დახმარებაც უნდა გაიზარდოს.

როგორც აღვნიშნე, უკანასკნელ წლებში სტიქიამ დიდი ზიანი მიაყენა მთის სათიბ-საძოვრებს და საგრძნობლად დააქვეითა მათი პროდუქტიულობა. საშუალოდ ერთ ჰექტარზე ვღებულობთ 6-7 ტონა თივას. სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის გაუმჯობესებისათვის საჭიროდ მიმაჩნია შემცირდეს პირუტყვის სულადობა. კერძოდ, ხოფულ მაღაროსკარის მიმდებარე მთის საძოვრებზე კოლმეურნეობის 1600 სული პირუტყვია. ერთი ამდენი კიდევ მოსახლეობისაა, საძოვრებიც გადატვირთულია. კვლავაც მეორდება ავადსახსენებელი უძრაობის წლების სტერეოტიპები, პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის დავალებებს ისევ „ზევიდან“ გვიგზავნენ. ჩვენ კი ვაყენებთ საკითხს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შეგვიმცირონ 800-მდე. ამით სათიბ-საძოვრების დატვირთვა შემცირდება და მის ექსპლოატაციასაც ნაკვეთმორიგებით მოვახდენთ. ეს ხელს შეუწყობს სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ხოდას და ეროზიის შემცირებას. სამაგიეროდ ჩვენ ორჯერ შემცირებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისაგან მივიღებთ გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე ამჟამად ვღებულობთ. ამასთანავე ათასი სულით შეგვიძლია გავზარდოთ ცხვრის ფარა და ესეც დამატებით უკუგებას მოგვცემს.

მთის ზონის მეურნეობებს ერთი მტკივნეული საკითხიც გვაწუხებს, რაზეც მინდა ჩემი მოსაზრება დაგვიდგა. მეურნეობის ეკონომიკურად წამოწევისა და რენტაბელობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის მიერ შეძენილ წარმოების საშუალებათა ღირებულებას, რომელიც სისტემატიურად იზრდება, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასები კი იგივე რჩება. ამის მაგალითი ზევითაც მოგახსენეთ — ერთიორად გაძვირდა კომბინირებული საკვები. ასევე გაძვირდა საშენი მასალები, ტექნიკა, ტიქნიკის რემონტს კი ნულარ იტყვით! მთის კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების ინტერესები მოითხოვს შესაბამისად იზრდებოდეს პროდუქციის შესასყიდი ფასებიც, ხოლო ზეგანმთის პროდუქციისათვის კიდევ უფრო მეტს უნდა გვიხდიდნენ.

საწარმოო პოტენციალი ითვალისწინებს მიწის, ძირითადი საბრუნავი საშუალებებისა და შრომითი რესურსების ერთობლიობას, ესე იგი მეურნეობის შესაძლებლობასა და სიძლიერეს. მიზანშეწონილად მიმაჩნია მეურნეობებიც აღნიშნულის გათვალისწინებით დაიგეგმოს. საჭიროა ვიცოდეთ: რა შეუძლია კოლმეურნეობას, რა რაოდენობის პირუტყვი უნდა გვყავდეს, რა პროდუქცია ვაწარმოოთ და მივყიდოთ სახელმწიფოს.

რაც შეეხება მესამე კითხვას, საქმის მდგომარეობა ასეთია: პირუტყვის გამოზამთრება კოლმეურნეობაში წელს ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს და წონამატებაც. საგეგმოზე მეტია, მატულობს რძის „თეთრი ნაკადულებიც“. კასპისპირეთში ცხვარი საუკეთესოდ გამოიყურება, მალე დოლიც გაჩაღდება, ყოველ ა.ნერაზე გეგმის ზევით 5 ბატკნის ძიღება სავსებით რეალურად გვესახება. წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას საგეგმოსთან შედარებით 10-12 პროცენტით გავზრდით, ამდენჯერვე გავზრდით მოყიდვასაც. ამას დიმატება ისიც, რომ აუცილებლად უარი უნდა ვთქვათ საკვების შესყიდვაზე. ამით კოლმეურნეობა შეძლებს საკუთარი სახსრებით აწარმოოს ანგარიშსწორება კოლმეურნეებთან, ხოლო შემდგომ წლებში ჩვენს ანგარიშზე დავგროვოთ ფული სახელმწიფო ბანკში, თორემ ამიერიდან მას აღარავინ მოგვცემს.

ᲡᲐᲛᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲗᲕᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲚᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲡ. ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲧᲘᲗᲕᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲔᲓᲠᲐ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲗᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲐᲑᲐᲗ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲠᲒᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲗᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲗᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲗᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲗᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲐᲑᲐᲗ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲠᲒᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲗᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲗᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲗᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲗᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲑ

საჭიროა კომპლექსური ღონისძიებები

● „2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებების“ პროექტში, ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტში, სამთო მრეწველობა — ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი — სათანადოდ არ არის წარმოდგენილი. მოცემულია მხოლოდ მცირე ცნობები, რომლებიც გაბნეულია მთელ ტექსტში უწყებრივი დაქვემდებარების ნიშნის მიხედვით. საჭირო კი იყო პროექტში უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი სამთო მრეწველობა, სადაც გაუშქდებოდა მინერალური ნედლეულის ბაზის თანამედროვე მდგომარეობა, მისი მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

პროექტით განსაზღვრულ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე სამთო მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიც არის სასარგებლო წიაღისეული საბადოების რაციონალური დამუშავება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურა ჯერ კიდევ არასაკმაოდ ინდუსტრიულია — აღნიშნულია „2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებების“ პროექტში. საყურადღებოა, რომ სამთო მრეწველობა ინდუსტრიის საფუძველია, რომლის გაფართოებასა და განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის ინდუსტრიის საერთო დონე.

საქართველოში მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება — მანგანუმისა და ფერადი ლითონების მადნები, ნახშირი, ბარიტი, დიატომიტი, დარიშხანი, გუმბრინი, მარმარილო, ნაირსახა ტუფები და სხვ. აღსანიშნავია, რომ სამთომოპოვების სამუშაოებს ასრულებენ სხვადასხვა უწყებებს დაქვემდებარებული საწარმოები, რომელთაც ერთმანეთთან პრაქტიკულად კავშირურთიერთობა არა აქვთ. ამიტომ კარგი იქნებოდა რესპუბლიკაში შექმნილიყო რეგიონული სამთო სამმართველო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს საქართველოში სამთო მრეწველობის ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარებას. ეს უდავოდ აამაღლებს რესპუბლიკის ეკონომიკურ დონეს, გაზრდის ეროვნულ შემოსავალს, დაიჩარებს ზოგიერთი სოციალური ამოცანის გადაწყვეტას, საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს რესპუბლიკის გადასვლას სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

სამთო მრეწველობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი და კაპიტალტევადი დარგია. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად 15 მილიარდ ტონაზე მეტ მინერალურ ნედლეულს იღებენ. ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაკმაყოფილება ამ ნედლეულით მეტისმეტად რთულია, რადგანაც სულ უფრო უარესდება მისი მოპოვებისა და გადამუშავების პირობები. ეს პროცესი შეუქცევადია და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამწვავდება, გაუარესება გამოიხატება მდიდარი მადნებისა და მაღალხარისხოვანი ნახშირების (მათ შორის საკოქსე ნახშირების) სამრეწველო მარაგების შემცირებაში, მინერალური ნედლეულის მოპოვების სიღრმის მნიშვნელოვან ზრდაში, მეტად რთული სამთო-გეოლოგიური პირობების მქონე საბადოების დამუშავების აუცილებლობაში, გეოგრაფიულად ძნელად მისაღწევი სამთო რაიონების ათვისებაში და სხვ.

ამ ფაქტორების პირდაპირი ზემოქმედების შედეგად იზრდება სამთო სამუშაოების შრომატევადობა, სამთო საწარმოთა მშენებლობის კაპიტალური დაბანდება, რთულდება მინერალური ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ეფექტიანი ტექნოლოგიის შერჩევა და სხვ. ამ ყველაფერს იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეს პრობლემები გლობალური ხასიათისაა და ეხება საქართველოს სამთო მრეწველობასაც, რომელიც სასარგებლო წიაღისეულ საბადოებს რთულსა და სპეციფიკურ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ამუშავებს.

ჩვენს რესპუბლიკაში სამთო მეცნიერებას ემსახურება აკადემიური, სასწავლო, დარგობრივი და საპროექტო ინსტიტუტები. ლურგიული გადამუშავებისას. საბოლოო პროდუქციაზე გადათვლით სასარგებლო კომპონენტის გამოყენების კოეფიციენტი აქ 50 პროცენტს არ აღემატება. მარმარილოს კარიერებზე ბლოკების გამოსავალი უკეთეს შემთხვევაში 15-17 პროცენტია.

წიაღისეულის დანაკარგები ჩვენთან სხვა ყველაფერთან ერთად სოციალურ სფეროსაც უკავშირდება. დროზე ადრე წყობილებიდან რომ გამოვა სამთო საწარმოები, ზოგჯერ ეი მთელი სარეზერვო რაიონიც, კვალიფიციური მშრომელების დასაქმება დადგება დღის წესრიგში.

ტყიბულის შახტებისათვის განსაკუთრებული პრობლემაა გამომუშავებული სივრცის მართვა ჰიდრავლიკური ამოვსებით. სამწუხაროდ ამ მეთოდს აძეკამად ტყიბულში პრაქტიკულად აღარ იყენებენ. მიწისქვეშა ხანძრების აღაკვეთისა და ნახშირის საექსპლოატაციო დანაკარგების შემცირების მიზნით მიზანშეწონილია ჰიდრავლიკური ამოვსების გამოყენება ჭერის ჩამოქცევასთან კომბინაციაში. ტყიბულის ნახშირებს თვითწვის უნარი აქვს, რის გამო ჭერის ჩამოქცევით მუშაობისას იქმნება ხელსაყრელი პირობები მიწისქვეშა ხანძრებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტყიბულში უპირატესად იყენებენ ნახშირის მოპოვების ტექნოლოგიას ვიწრო საშუნდი სანგრევებით (მრავალი ყრუ სანგრევი), ცხადი გახდება, თუ რატომ მთავრდება იქ მგრგვინავი გზის აფეთქების შემთხვევები მძიმე შედეგებით.

შაორის ნახშიროვანი ფართობის ცენტრალური ნაწილის ათვისების მიზნით, სადაც ნახშირის მნიშვნელოვანი მარაგებია, მიზანშეწონილია რეკონსტრუირებულ იქნეს არსებული შახტები ან დაპროექტდეს და აშენდეს ერთი

საჭიროა კომპლექსური ღონისძიებები

დიდად საქართველოს სამთო მრეწველობამ საგრძნობ პროგრესს მიაღწია. თუმცაღა ჯერ ბევრი მნიშვნელოვანი ამოცანაა გადასაწყვეტი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახლავთ წიაღისეულის მინერალური დანაკარგებით მოპოვება. ბუნების ეს სიმდიდრე ულევი როდია. დღეს ზოგიერთი სახის სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო მარაგი ამოწურვის ზღვარზეა.

ხშირად საბადოებს გაუმართლებლად დიდი დანაკარგებით ამუშავებენ, რის გამოც მცირდება სამთო საწარმოების არსებობის ვადა, წყობილებიდან გამოსულის ნაცვლად ახალი სიმძლავრეების ვადაზე ადრე მშენებლობის გამო იზრდება კაპიტალური დაბანდების როდენობა, ქვეითდება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

საბადოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე, შახტის დაპროექტებასა და მშენებლობაზე, აგრეთვე სამრეწველო ობიექტებზე გზებისა და სხვადასხვა ენერგეტიკული კომუნიკაციის გაყვანაზე საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება. ამიტომ თითოეული ტონა წიაღისეულის დანაკარგი მოპოვებული სამთო მასის თვითღირებულებას კიდევ უფრო ზრდის, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა საქართველოს სამთო მრეწველობისათვის, რომლის ნედლეულის ბაზა საერთოდ შეზღუდულია. ჯერ კიდევ ბევრია დანაკარგები ნახშირის, მადნების, სამთო-ქიმიური და საშენი მასალების მოპოვების, გამდიდრებისა და მეტალურგიული, ქიმიური ან მექანიკური გადამუშავებისას. მაგალითად, ტყიბულის შახტებში ნახშირის დანაკარგები ზოგიერთ შემთხვევაში 40-45 პროცენტს აღემატება. დიდია ჰიათურის მანგანუმის დანაკარგები, განსაკუთრებით მეტადრიციულად მჭიდრო შემოქმედებითი კავშირებია მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

გაშლილი ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-სამრეწველო და საპროექტო საკონსტრუქტორო სამუშაოები ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ურთიერთ ორგანული კავშირის საფუძველზე, რის შედეგად წყდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანები, აქ მთავარია წიაღის რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური საკითხები, მინერალური ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარება და ასე შემდეგ. ყოველივე ამის შემაძლავრი შახტი 1,3-1,5 მილიონი ტონა წლიური მწარმოებლობით. ეს საქართველოს ნახშირის მრეწველობის განვითარების ერთადერთი რეალური გზა გახლავთ. თუ არა, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე საქართველოში ნახშირის მოპოვება მნიშვნელოვნად შემცირდება.

საქართველოს საშენი მასალების (მარმარილო, ტუფი, ბაზალტი და სხვ.) კარიერებზე დაბალია ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონე, დიდია დანაკარგები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ეს საწარმოები გაფანტულია სხვადასხვა დაქვემდებარების უწყებებში. უკეთესი კი იქნება, თუ რესპუბლიკაში შეიქმნება ერთი მძლავრი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება საშენი მასალების მოპოვების დარგში, სადაც თავს მოიყრის საწარმოები, სამეცნიერო, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები.

სამთო მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა წიაღის რაციონალური გამოყენებაა. მინერალური ნედლეული ბუნებას ერთხელ შეუქმნია და პრაქტიკულად მისი აღდგენა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა გავუფრთხილდეთ ბუნების ამ საუნჯეს და რაციონალურად გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, წესისამებრ, სამთო მომპოვებელი საწარმოები წიაღისეულის მოპოვებისას ცდილობენ ნებისმიერი ხერხით მოიცილონ „ფუჭი ქანი“. ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად წიაღიდან ამოღებული უზარმაზარი მოცულობის სამთო მასიდან სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაზე გამოიყენება მხოლოდ შვიდი პროცენტი. გამდიდრების ნარჩენების მხოლოდ 10 პროცენტს იყენებენ.

საქართველოს სამთო საწარმოები ყოველწლიურად ასაწყობენ მილიონობით ტონა გადახსნილ ქანს და გამდიდრების ნარჩენებს, რაც ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთს იკავებს და წამლავს გარემოს. დასაბუთებულია, რომ ამ ქანებისა და გამდიდრების ნარჩენების ნახევარზე მეტი შესაძლებელია გამოვიყენოთ საშენი მასალების წარმოებისათვის. ამ კოლოსალური შესაძლებლობიდან საშენი მასალების მწარმოებლები ფაქტობრივად გადახსნილი ქანების ორ და გამდიდრების ნარჩენების ერთ პროცენტს იყენებენ.

მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის სანაყაროზე მოთავსებულია გადახსნილი ქანების დიდი მასა, რომელიც ელის თავის მომხმარებელს. ჭიათურის მანგანუმის აუზში კარიერებზე გადახსნილი ქანები ძვირფასი კვარცის ქვიშები და მწვანე თიხებია, რომელთა გამოყენება სახალხო მეურნეობაში დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოიტანს.

უმნიშვნელოვანესი პრობლემაა აგრეთვე ეკოლოგიის საკითხი. სამთო მრეწველობის რეგიონებში სამთო სამუშაოები, განსაკუთრებით ღია სამუშაოები, იწვევს წიაღის ბუნებრივი წონასწორობის დარღვევას და გარემოს გაბინძურებას, ამიტომ ყველა შემთხვევაში სამთო წარმოების უნებლიე ზედმიწევნით უნდა ხორცელდებოდეს ბუნების დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა მცირემიწიანია, ამიტომ სამთომომპოვებელ უბნებში ღია სამუშაოების წარმოება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, ამასთან დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს ზედაპირი. ამ მხრივ უყურადღებას იქცევს ჭიათურის მანგანუმის აუზი, სადაც ბოლო წლებში ღია სამუშაოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მანგანუმის მადნების საერთო მოპოვებაში მისი წილი 35-40 პროცენტია. აქ საგრძნობლად დარღვეულია დედამიწის ზედაპირი, გართულებულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობები. აუცილებელია დასაბუთდეს ღია სამუშაოების ტექნიკური საზღვრები ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ისეთი ანგარიშით, რომ მისი წილი 15-20 პროცენტს არ აღემატებოდეს.

აღსანიშნავია, რომ ჭიათურაში გამომუშავებული უბნების აღდგენის პრაქტიკა აქვთ, ოღონდ ეს ტექნოლოგია უნდა გაფართოვდეს და ყველა შემთხვევაში ღია სამუშაოების წარმოების პარალელურად მიმდინარეობდეს რეკულტივაცია.

ცალკე უნდა გამოვყოთ მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების საკითხი. სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს სამთო მეცნიერების თანამედროვე დონეს. ამ დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც დარგის ინჟინერს კვალიფიკაცია სამთო მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებში ჩაწვდომის და მისი პრაქტიკულად გამოყენების საშუალებას აძლევს. ამიტომ თანამედროვე სამთო ინჟინერი ფართო განათლების სპეციალისტი უნდა იყოს, რომელიც შემოქმედებითად გადაწყვეტს მის წინაშე მდგომ რთულ სამთო-ტექნიკურ ამოცანებს.

იყო დრო, როდესაც სამთო ინჟინრის სპეციალობა საკმაოდ პრესტიჟულად ითვლებოდა. ახლა ასე აღარ არის. ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ მას ჩამოერთვა მატერიალური და მორალური პრივილეგიები, რამაც სამთო სპეციალობისადმი ნიჭიერი ახალგაზრდების სწრაფვა მნიშვნელოვნად შეამცირა.

სამთო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა აღდგეს სამთო ინჟინრის პრივილეგიები. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ხომ სამთო მრეწველობიდან იწყება. რადიკალური კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების გარეშე სამთო მეცნიერების და მრეწველობის შემდგომი განვითარება შეუძლებელია.

არჩილ ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ირაკლი ზურაბიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

საქმეც იგეგს და გლეხკაციც

ანუ როგორ მკვიდრდება სანარდო იჯარა

სანარდო იჯარა უკვე მკვიდრად დადგა ფეხზე. იგი სოფლად ეკონომიკური ურთიერთობის, მეურნეობრიობის ახლებურად წარმართვის ეფექტიანი ფორმაც გახდა. და მაინც ბევრგან ისევ არ წყდება მის გარშემო მავანთა მითქმა-მოთქმა და ქირქილი: საით მიდის იჯარა, „იქით“ ხომ არა?..

— მეტსაც გეტყვით, — მითხრა ხაშურის რაიონის ხცისის კოლმეურნეობის მოიჯარემ ტრისტან ზუბაშვილმა, — ერთხელ, ერთმა უხიაგმა, რომ გაიგო იჯარისთვის ვაპირებდი ხელის მოკიდებას, მითხრა:, არ შეცდე, ეს საქმე კისერს მოგატეხინებსო...

ტრისტან ზუბაშვილი მაინც ენდო იჯარასაც და საკუთარ გულისთქმასაც. ახალგაზრდა კაცს სამეურნეო ინიციატივიანობაში, ფხიანობაში, დამოუკიდებლობაში სურდა გამოეცადა საკუთარი თავი. თანამოაზრეებიც შემოიკრიბა — მეუღლე ავეტლანა ბირკაია, პროფესიით ფერშალი, გამოცდილი მწყემსები — მამა-შვილი სერგო და ვიგენტი ციცქიშვილები და ახალგაზრდა ალექსი ჩიბირაშვილი.

კოლმეურნეობის ფერმის 213 დეკეული ჩაიბარეს არენდატორებმა გასასუქებლად. ხორცის წარმოების ზრდის რეზერვების უქონლობას ხცისის კოლმეურნეობაში არც ადრე უჩიოდნენ. ეგ იყო ოღონდ, არავის სურდა ზედმეტად გარჯილიყო, არც ის გაუანგარიშებია ვინმეს— სჭირდებოდა კი ფერმას ამდენი მომვლელი, მწყემსი, ვეტფერშალი, დარაჯი, მძღოლი თუ ტრაქტორისტი და ვინ იცის კიდევ რა პროფესიის ადამიანი.

სხვა საწარმო ფაქტორებთან ერთად ესეც აძვირებდა ხორცის თვითღირებულებას. 1987 წელს კოლმეურნეობას ცენტნერი საქონლის ხორცი 536 მანეთი დაუჯდა, ამასთან მოზარდეულის საღლეღამისო წონამატება 228 გრამს არ აღემატებოდა (ამდენი ძიძის ხელში!).

საქმეს, რომელსაც ადრე 14 კაცი ძლივს აუდიოდა, დღეს ხუთი . მოიჯარე უკეთ უძღვება... გულდაჯერებით დაიწყეს მუშაობა, მოზარდეულის ინტენსიური სუქების გრაფიკიც შეადგინეს, კვების რაციონიც გაიანგარიშეს, ფერმაში უწყვეტი მორიგეობა დაწესეს...

საღღეღამისო წონამატებამ ვადარშანდელი წლის მეორე ნახევარში 417 გრამს მიაღწია, ცენტნერი ხორცის თვითღირებულებამ კი 124 მანეთი შეადგინა.

— დეკემბრის მეორე ნახევრიდან კი, — გვეუბნება ტრისტან ზუბაშვილი, — საღღეღამისო წონამატება 600 გრამამდე ავიყვანეთ, ამასთან ცენტნერ წარმოებულ პროდუქციაზე 4,8 საკვები ერთეულით ნაკლები იხარჯება.

1987 წელს კოლმეურნეობაში ხორცის წარმოებიდან მიღებულმა ზარალმა 89 ათასი მანეთი შეადგინა. სანარდო იჯარამ კი მოგება მოუტანა კოლმეურნეობასაც და მოიჯარეებსაც. წლის ბოლოს მოიჯარეებმა კოლმეურნეობას 15 ტონა ხორცი ჩაბარეს. თავად კი დაახლოებით 14.200 მანეთის შემოსავალი მიიღეს. დაეუმატოთ ამას ავანსის სახით აღებული 2327 მანეთი და გავყოთ ხუთზე. გამოდის, რომ თითოეულმა მთანკარმა საშუალოდ თვეში 550 მანეთი გამოიმუშავა. ბევრია? საკმაოდ, მაგრამ განა ცოტა შრომაა დახარჯული იმისათვის, რომ პირუტყვის წონამატება ორჯერ და მეტად გაზრდილიყო, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება კი ოთხჯერ შემცირებულიყო? მოვგებულია კოლმეურნეობაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ფასანამატიდან მას 37 ათასი მანეთი დარჩა.

ეს ფულიანობა მოიყვანა გლეხკაცს შარაგა და — ამჟამად ნდობიმბია მას არა მარტო უბრალოდ მეზობლებისა, ეს სუფრილი ათასეული და ეგ-ბასაგებია. — არამედ პატიოსნად გამომუშავებაც. რა დასამალია და, ადრე ფერმის მუშაკი სამუშაოს დამთავრების შემდეგ ან შეკვრა თივას გაიყოლიებდა შინ, ან რძეს, ცოტა როდი იყო მეცხოველეობის ფერმებში წამატებებისა და თვალისახვევის ფაქტებიც.

— იჯარა, ამბობს ტრისტან ზუბაშვილი, — მუშაობაში მთლიანად გამორიცხავს მეურვეობას, რეგლამენტაციას, შრომის ანაზღაურებისას კი — გათანაბრებას. რაც შეეხება წამატებებს, ქურდობასა და უუაირათო მეურნეობრიობისათვის დამახასიათებელ სხვა ფაქტორებს, ეს სანარდო იჯარის პირობებში, უბრალოდ, წარმოუდგენელიც კი არის.

დამეთანხმებით, მოიჯარე ტრისტან ზუბაშვილის ნათქვამი პროსაც ეკონომიკის ფარგლებს. იგი ბევრად უფრო მეტს ნიშნავს. ეს ახალი ფსიქოლოგიაა, სოფლად გლეხური ცხოვრებისა და ყოფის ზნეობრივი განწმენდის მისასალმებელი პროცესია.

გურამ ვაშაკიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

● თეთრი ქარავანი. ვარლამ გენგიურის („კომუნისტი“) ფოტო.

„საქართველოს კომუნისტი“ № 1

ნომერში დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის სტატია „ვისწავლოთ დემოკრატია — ავამოქმედოთ ნოვა სოციალიზმის პოტენციალი“. მასში ლაპარაკია იდეოლოგიური მუშაობის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე. სტატიაში ნათქვამია, რომ იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს მუშაობა, როგორ შეძლებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მთლიანად იდეოლოგიური აქტივი დაძებნონ აუდიტორიაზე ზემოქმედების ყველაზე საჭირო და დამაჯერებელი ფორმები, ძირითადად დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის წინსვლის წარმატებები.

აქვეა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. თორდიას, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. აბესაძის, პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივნის ე. ავოიანის, დმანისის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ფ. გაჯიევისა და სხვათა წერილები, პოლიტიკური სისტემის განახლების, სამართლებრივი რეფორმის შესახებ.

ნომერში დასტამბულია საინტერესო წერილები სამეურნეო ანგარიშის, კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებზე.

● ... ვარლამ გენგიურის („კომუნისტი“) ფოტო.

ამბავი ჩვენი ცხვარ-მეცხვარისა

კასპიისპირეთში, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ახლა ჩრდილოეთის ცივი ქარი ქრის. საქართველოდან წამოსული ცხვარ-მეცხვარე კარგა ხანია უკვე ბინად დამდგარა.

ზამთრობით გამოცოცხლდება ხოლმე პატარა ქართული დაბა „ივერია“. აუზბეგელებს, დუშელებს, ლენინგორელებს, ჯაველებს, თიანელებს გამოსაზამთრებლად აქ დაუდით ასი-ათასობით ცხვარი. ახლა „ივერიაში“ ყველგან ისმის ქართული ლაპარაკი. საუბრის თემა ცხვარია. სვამენ ზამთრის ამინდის პროგნოზებს და არც ამ საქმეში ტყუვდებიან. გამოცდილება დიდი განძია. „უბრალო პურის ჭამისას“ უთოოდ გაიხსენებენ იმ ერთ მუჭა მამაც მოხეველებს, რომლებიც არსებობისათვის ზამთრის საძოვრებს ეძებდნენ და თოფითა და ხმლით გაიკვალეს ძნელად სავალი გზა ნოღაეთის ველებისაკენ. რამდენი გაჭირვება უნდა დაეძლია და სულის სიმტკიცე ჰქონოდა ქართველ კაცს, რომ სამშობლოდან 600 კილომეტრის მოშორებით მოეპოვებინა და დაემკვიდრებინა ეს მიწები. იყო შეტაკებები, მსხვერპლი, მაგრამ ხეს სასიცოცხლო პირობები ჰირდებოდა.

განა ამ უწყინარი ცხოველის — ცხვრის ყოლამ არ შემოგვინახა ხევი? განა სასიხარული არ არის, რომ სკოლებში კვლავ ისმის ბავშვთა ურიამული? ვინ იცის, რაკასაც რომ ჰქონოდა ცხვრის ყოლა-შენახვის პირობები, იქნებ არ დაცარიელებულიყო?

დღეს თითქოს გაადვილებულია მეცხვარეთა შრომა. საიმედო ბინები აქვთ. თითქმის ყველგან გაიყვანეს ელექტროსინათლე და სასმელი წყალი. დიდი ყურადღება ექცევა ბუნებრივი და კომბინირებული საკვების მომარაგებას. მსხვილფეხა რქოსანმა საქონელმა მთლიანად დატოვა საძოვრები, რამაც ცხვარს მეტი სასაძოვრო ფართობი გაუთავისუფლა. ბალახსაც, რომ იტყვიან, — არა უშავს რა, საკვების მთხოვნელი და წამღები არ აკლია საძოვრების მართვის გაერთიანებას, მაგრამ ზამთარი ჯერ კიდევ წინაა. არადა, როგორი იქნება იგი შემდგომ, არავინ იცის, ამიტომ, ერთი ბღუჯა თივაც და ნამჯაც მკაცრ კონტროლზეა... რესპუბლიკა რეგულარულად ამარაგებს გაერთიანებას კომბინირებული საკვებით. მითუმეტეს, გამოცდილებამ მრავალჯერ დაგვანახა: დოლის პერიოდში, თოვლში, სიცივეში, უინვაში, რაოდენ ძნელია ბატკნის შენარჩუნება და გამოზრდა. ზოგჯერაც ყოფილა, კვირეების განმავლობაში ცხვარი ბაგურ კვებაზე ჰყოლიათ და თუ არა კომბინირებული საკვები, ზარალი და უბედურება არ აგვცდებოდა. ჩვენი თუშური ცხვარი მართლაც ერთ-ერთი უველაზე ამტანი ცხვარია მსოფლიოში, მაგრამ გაყინულ თოვლში მახავე უჭირს ბალახის მოპოვება და ადამიანის ხელი მუდამ ესაჭიროება. ყიზლარშიც არის კოჩუბეის კომბინირებული საკვების პუნქტი, სადაც შემოდგომის დასაწყისიდან კომბინირებული საკვებით დატვირთული ვაგონები შემოდიან...

საკვების პუნქტის გამგე. კაცი ზრდილობიანი და ყურადღებიანი. ვაფვალიერებთ ეზოს. ყველგან თვალში საცემი წესრიგი, სისუფთავე, არავითარი ზედმეტი საგანი, ინვენტარი. ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ვაგონთან მუშები ფუსფუსებენ —კომბინირებული საკვებით სავსე ტომრებს ეზიდებიან და კარგი კალატოზის მიერ კედელში ჩატანებული ქვებივით აწყობენ.

**უკვე ვთქვით: დღეს გაადვილებულია მეცხვარეთა შრომაო. ეს გარედან ხელშეწყობით არის, თორემ შრომის პროცესი ისევ მამა-პაპურია, რთული. ამას ვერსად გავექცევით. მეცხვარეობა დღესაც ვაუკაცობის სინონიმია. ეს ... ...

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ...

● ერთი საკურორტო სეზონიც მიიწურა, დადგა — ახალი. იმის შესაყოფად, თუ რა მდგომარეობაა სადღეისოდ, რა უკერთ და ულხინთ ადგილობრივი კურორტების მესვეურთ, როგორია მათი მომავლის პერსპექტივები. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ნორა ნორაკიძე ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტებისა და გაერთიანების გენერალურ დირექტორს ზეზვა ღუღუნიშვილს და მიმართა რამდენიმე შეკითხვით:

— როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივი კურორტების წარმატებული მუშაობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, აქედან გამომდინარე კურორტი ყოველმხრივ ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მიმდებარე სოფლების, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთათვის, ხოლო დამსვენებელთა კარგი გუნებაზე ყოფნობილება და ჯანმრთელობა ფილიალად არის დამოკიდებული მასზე, თუ როგორი ვითარება (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურება) დახვდებათ მათ იქ. ფასამალი არ არის, რომ ზოგიერთი კურორტი ვერ აკმაყოფილებს ზედვანდელ მოთხოვნებს, გთხოვთ ეს მკითხველებს გაიცნონ, თუ რა კეთდება რესპუბლიკაში ამ მხრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— როგორც ვიცით, რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საქართველოს საკურორტო პოტენციალი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ საკურორტო საქმეში დაშვებულმა, მე ვიტყოდი, სერიოზულმა შეცდომებმა, გამოიწვია საქართველოს კურორტთა ერასასურველი დიფერენციაცია. მკვეთრი ზღვარი გაეკლო საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების კურორტებს შორის. უბრალოდ რომ ვთქვათ: საკავშირო მნიშვნელობის კურორტი მოვლილია, რესპუბლიკისა კი — არა. ერთი სიტყვით, ამის გამო, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ბედი ბოლოდ ადგილობრივ საბჭოებზე ან, უკეთეს შემთხვევაში, რესპუბლიკის მიუჯეტზე იყო დამოკიდებული, თანხის ნაკლებობისა თუ ადგილობრივი საბჭოების უუფლებობის გამო, მათ განიცადეს სრული დაკნინება. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით 5 წლის წინ შეიქმნა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო, რომელიც ახლახან საქართველოს ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა.

ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებით უნდა დაგვეწყო. შედეგიანეთ განვთარების ხუთწლიანი გეგმა. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს და გაიან ამუშავდება ლესელიძეში დიდი, 400-ადგილიანი გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელშიაც ქნება როგორც ბავშვთა ცალკე სექტორი, ასევე დედათა და ბავშვთა და ოჯახური დასვენების მსურველთა სექტორებიც. შენდება ალი ტიპის თანამედროვე საამბულინგი კურორტ ამაღლებასა და ფარმაში. ამოქმედდა მაღალი ლასის დასასვენებელი სახლი ქალში, რომელიც ჩვენს მოსახლეობაში დიდად პოპულარულია. აშენდა და რამდენიმე კვირაში ამუშავდება ასევე თანამედროვე ტიპის დასასვენებელი სახლი ბაკურიანში, თითქმის მთლიანად შეიცვალა კურორტ კვერთის იერსახე, ბევრი რამ გაკეთდა კურორტ სულორის კეთილმოწყობისათვის, თითქმის თავიდან აშენდა, და მგონია, ჩვენს მოსახლეობას მოეწონება დასასვენებელი სახლები ბუაშში და ლებარდეში. ასევეიდან შენდება ყვარლის რაიონში კურორტი ოქტომბერი, რომელიც მომავალი სეზონისათვის ჩაბარდება და, ალბათ, მოსახლეობის ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდება. ყურადღება მიექცა კურორტ სუფსასაც. ასპინძაში დამთავრდა პირველი საძილე კორპუსის შენებლობა კორპუსთა იმ რიგიდან, რომელიც შემდგომში შექმნიან კურორტ ასპინძის ახალ იერსახეს. ასევე იცვალა კურორტმა ზოვლეთმაც, დღეს იქ გაცილებით მეტი ტურისტია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. შარშან დასრულდა სამკურნალო კორპუსის შენებლობა სამტრედიაში. წელს იქ 100-ადგილიანი სანატორიუმი „ბაქსამთა“, რაც ნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველოს ტუკაზე ჩნდება ახალი სახელი — ტურისტული კურორტი სამტრედია.

შეძლებისდაგვარად ყურადღება ექცევა ადგილობრივ კურორტების ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებასაც. მათი უმრავლესობა გადავიდა თხევად სათბობზე. ამავე მიზნით უჯარმაში, ოქტომბერში, არხილოსკალოში და სხვაგან დამონტაჟდა ჰელიოსისტემები. წელს მთავრდება სულორისა და უჯარმის კანალიზაციის გაყვანა. გათბობის სისტემები დამონტაჟდა სულორსა და ოქტომბერში, რაც საშუალებას მოგვცემს აღნიშნული კურორტები მთელი წელი ვამუშაოთ.

ადგილობრივ კურორტთა მოთხოვნათა შესაბამისად, არსებითი ცვლილებები მოხდა ადგილობრივ კურორტთა ეკონომიკაში. 1988 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 6 კურორტი. მათი მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ მკვეთრად გაზარდა ეკონომიური კოლექტივების პასუხისმგებლობა, გააფართოვა მომსახურების სპექტრი, გააძლიერა მათი ეკონომიკა, თითქმის 30 პროცენტით იმატა პერსონალის რეალურმა შემოსავალმა. 1983 წელთან შედარებით „საქკურორტის“ მიერ გაწეული ფასიანი მომსახურების ზრდამ 1988 წლის 9 თვეში 1.700.000 მანეთი შეადგინა, ესე იგი თითქმის 2-ჯერ იმატა.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის მინერალური წყლების მოვლისათვის. 1987 წლიდან საქართველოს მინერალური წყლების უმრავლესობა „საქკურორტს“ გადაეცა. შეიქმნა რესპუბლიკური ჰიდრომინერალოგიურ-სარეჟიმო ექსპედიცია, რომელმაც ჩვენში პირველად შეადგინა სრული პასპორტები ყველა დაქვემდებარებულ სამადოზე, რითაც სათავე დაედო მათ გამოყენებაში სახელმწიფო წესრიგის დამყარებას.

აქვე უნდა ვთქვათ „საქკურორტის“ ექსპერიმენტული საწარმოს საქმიანობაზე. იგი რესპუბლიკის კურორტების მოთხოვნათა შესაბამისად აწარმოებს სპეციალურ აბაზანებს, საკურორტო და სპალაჟო აქსესუარებს.

შეიქმნა ერთობლივი საერთაშორისო საწარმო „ბუდაური“ საბჭოთა, ავსტრიელი და უნგრელი პარტნიორების მონაწილეობით, რომელიც ჩვენი ქვეყნის მასშტაბით საკურორტო დარგში ასეთი ტიპის პირველი ფირმაა.

როგორც ხედავთ, ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენი პრობლემების ზღვაში მხოლოდ წვეთად შეიძლება ჩაითვალოს. გადაუჭრელი საკითხები საკმარისზე მეტია. კვლავ უმტკივნეულეს პრობლემად რჩება ადგილობრივ კურორტთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათი კეთილმოწყობა. ვერ გადავწყვიტეთ ეს საკითხი საკუთარი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნითაც. იგი, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსი, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. შეუსაბამობანი დაფინანსებასა და სამშენებლო მასალებით მომარაგებაში, შრომის დაბალი ორგანიზაცია და კულტურა სისტემატურად ზღვევს დასახული გეგმების ჩაშლას.

უამრავი საკითხია მოსაგვარებელი ეკოლოგიის დარგშიც. აქაც ათეული წლების განმავლობაში გამეფებულმა გულარხეინობამ ისეთი სიტუაცია წარმოქმნა, რომ კურორტთა უმრავლესობას არა აქვს ნორმალური წყალმომარაგების, გათბობის, საკანალიზაციო და საწმენდი სისტემები, გაჭუჭყიანებულია მინერალური წყლების საბადოები და ა. შ.

— ვიცით, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას ცდილობთ წილობრივი მშენებლობის გზითაც. გაგიმართლდათ თუ არა ამ საქმეში, რომელი ახალი ბაზები ამოქმედდა?

— ცხადია, რომ ზემოხსენებულ პრობლემათა გადაწყვეტას შესაბამისი თანხა სჭირდება. საშუალოზოდ, როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკის ბიუჯეტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა ჩვენი პრობლემა ერთბაშად გადაიჭრას. თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დღენიადაგ ცდილობენ, რაც შეიძლება, მეტად დაგვეხმარონ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების გამოყოფის მხრივ. ბოლო 3 წლის მანძილზე იგი არ აღემატებოდა ყოველწლიურ მილიონ 700 ათას მანეთს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის რჩევითა და მხარდაჭერით დავიწყეთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოო დაწესებულებათა თანხების მოზიდვა, მათი წილობრივი მონაწილეობით ჩვენი კურორტების განაშენიანება. შარშან ამ თანხამ 8 მილიონს გადააჭარბა, გვაქვს გარკვეული შედეგებიც. მაგალითად, წილობრივი მშენებლობის პირობითა კომპლექსი ლესელიძეში, 500-ადგილიანი საოჯახო პანსიონატი ურეკში, სურამში 48-ადგილიანი საძილე კორპუსი, 1000-ადგილიანი პანსიონატი ბაკურიანში. რამდენიმე უწყების თანხებს ვხარჯავთ აგრეთვე კურორტ საირმის განაშენიანებისათვის. წილობრივმა მონაწილეობამ საშუალება მოგვცა აგვეგო საამბანოები უჯარმასა და ამაღლებაში, დაგვეწყო კურორტების ბახმაროს და მანგლისის დაპროექტება მათი შემდგომი განაშენიანების თვალსაზრისით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ბევრმა ორგანიზაციამ ვერ გაიგო ჩვენი წილობრივი მონაწილეობის პრინციპი.

ამ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს — სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის დროს.

არის ორგანიზაციები, რომლებიც თავს არიდებენ წილობრივ მონაწილეობას. გორის რაიონში, ატენის უღამაზეს ხეობაში არის უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე თერმული წყალი ბიისი. „საქკურორტმა“ შეადგინა ახალი კურორტის მშენებლობის პროექტი, ეს მშენებლობა დაიწყო კიდეც, მაგრამ გორის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობამ დანაპირები არ შეასრულა, არ შემოიტანა თავისი წილი ფული, რამაც მეტად გაართულა კურორტ ბიისის განაშენიანება და გაურკვეველი ვადით გადასდო მისი დამთავრება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის შექმნა ბოლოს მოუღებს იმ შეუთანხმებლობას, რაც საქართველოს სსრ ყოფილ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსა და ყოფილ მშენებლობის სამინისტროს შორის არსებობდა, და რის გამიც წლითიწლობით იკარგებოდა კურორტ საირმის განაშენიანების წილობრივი მონაწილეობის თანხები.

— სამედიცინო მომსახურებაც გაუმჯობესებას მოითხოვს. როგორ აპირებთ დაიწინაუროთ დამსვენებელთა გაჯანსაღების საქმე?

—სეიროზული პრეტენზიებია ავადმყოფ-დამსვენებელთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეშიც. ათეული წლების განმავლობაში არსებულმა მეტად მცირე ინაზღაურების სისტემამ ჩამოაყალიბა მომსახურების სტერეოტიპი, რომლის გარდამქნაც ჩვენ ახლა ყოველგვარი საშუალებით ვცდილობთ.

კურორტების სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვან ღონისძიებად მიგვაჩნია სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილება კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან „საქკურორტის“ სისტემაში გადმოცემის შესახებ. ამან, მცირე დროის მიუხედავად, თავისი დადებითი შედეგი მოგვცა. გაძლიერდა ქსელში ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა.

მთლიანად გარდაიქმნა კადრებთან მუშაობის სისტემა. გეგმაზომიერად შევუდექით მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. სისტემატურად ეწყობა ატესტაციები როგორც სამედიცინო, ასევე სამეურნეო პერსონალისათვის. მზადდება და პირველად ჩვენთან გაიმართება დასთვალიერება-კონკურსები ექთნების, მზარეულების, მიმტანების, დიასახლისებისა და სხვებისათვის, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ დამსვენებლებთან.

— სხვა რა პრობლემები დგას სადღეისოდ, როგორ ფიქრობთ მათ დაძლევას, როგორია კურორტების შემდგომი განვითარების გეგმები და პერსპექტივები?

— ჩვენი გეგმები, რაღა თქმა უნდა, უწინარესად ჩვენი პრობლემების გადაწყვეტას გულისხმობს. პრობლემები კი, როგორც მოგახსენეთ, უხვადაა. უპირველესი ამოცანაა ადგილობრივი კურორტების ეკონომიკის მოწესრიგება, რადგან საკუთარი მძლავრი საშუალებების გარეშე დღეს „საქკურორტის“ განვითარება შეუძლებელია. ადგილობრივი კურორტების უმრავლესობა გაისად სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეს. მათი ნაწილი არენდით გადაეცემა კოოპერატივებს, რომლებიც „საქკურორტის“ ეგიდით მოქმედებენ (გორიჯვარი, ახალციხე, ყვავილნარი). კოოპერატორებს გადაეცათ აგრეთვე ზოგიერთი მინერალური წყლის საბადოებიც (ბოლნისი, ჰერეთის წყალი). აღნიშნული ღონისძიება დროის წინაშე ბარკის მოხდა კი არ არის, არამედ შორს გამიზნული ეკონომიკური პროგრამაა, რომელმაც უახლოეს წლებში თავისი ნაყოფი უნდა გამოიღოს.

ვცდილობთ, ჩვენს კურორტებზე ფეხი მოიკიდოს საოჯახო იჯარამაც, როგორც არაორგანიზებული, ასევე ორგანიზებული დამსვენებლებისათვის. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია ურეკსა და სამტრედიაში. საინტერესოდ გვეჩვენება ბაკურიანში აშენებული სახლი საოჯახო იჯარის მსურველთათვის.

დიდ იმედს ვამყარებთ საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ურთიერთობაზე. მიღწეულია - შეთანხმება საფრანგეთის ფირმა „ლეზარკთან“ ერთად, კურორტ ბაკურიანში 1000-ადგილიანი პანსიონატის აშენების თაობაზე. დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთმა უდიდესმა ტურისტულმა ფირმამ „შტაინბერგერმა“ უკვე შეიმუშავა და განსახილველად გამოგვიგზავნა საქართველოში სამკურნალო ტურიზმის (ასე უწოდებენ დასავლეთში დასვენებას მკურნალობით) განვითარების მეტად საინტერესო კონცეფცია. საყურადღებოა იტალიური ფირმის „კორპოლას“ წინადადებანი შავი ზღვის სანაპირზე საბჭოურ-იტალიური გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობის შესახებ. სეიროზული დაინტერესება გამოიჩინეს იაპონელმა პარტნიორებმა ნაქალაქევის მიმართ.

გაისად გაზაფხულზე ბაკურიანის სასტუმრო „კოტაგორას“ კაპიტალურ რეკონსტრუქციას დაიწყებს პოლონური ფირმა „ბუდიმექსი“.

ვცდილობთ გავზარდოთ საქართველოს მინერალური წყლების საერთაშორისო ავტორიტეტი და მათი ექსპორტი. ამ მიზნით (საერთაშორისო ბაზრობაზე, დამასკოში) წელს პირველად საქართველოს სტენდზე ფართოდ იყო გამოფენილი ჩვენი მინერალური წყლები, რამაც ახლო აღმოსავლეთის საქმიანი წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია.

სიტუაცია, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი, დიდ იმედებს გვისახავს საქართველოს საკურორტო პოტენციალის სწრაფი და მძლავრი აღმავლობისათვის.

სურათებზე: კურორტები ლებარდე და კვერეთი.

საქინფორმის ფოტო.





ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲔᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲚᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ:

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲒᲠᲝᲗᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲖᲔᲖᲕᲐ ᲦᲣᲦᲣᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ:**

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ:**

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲚᲔᲑᲐᲠᲓᲔ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲠᲔᲗᲘ.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲣᲙᲘᲡᲝᲥᲝᲗᲘᲡᲨᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲜᲘᲜᲓᲐ

23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

● ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲩᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ „ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ. ᲡᲐᲛᲐᲛᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. ᲡᲐᲛᲐᲛᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 2200-ᲓᲐᲜ 4300 ᲛᲘᲚᲘᲛᲔᲢᲠᲐᲛᲓᲔ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲘᲒᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲠᲐᲒᲐᲕᲘ ᲫᲠᲐᲕᲘᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲮᲣᲗᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲠᲐ ᲛᲔᲢᲔᲠᲘᲗ ᲑᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲡᲣᲚ ᲙᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ — ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲓᲕᲐ. ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ 8 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲗᲐ, ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲪ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲘᲗ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲚᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲨᲘ, 500-ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲣᲠᲔᲙᲨᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲨᲘ 48-ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲫᲘᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, 1000-ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ ᲖᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ ᲐᲒᲠᲝᲗᲕᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ „ᲡᲐᲥᲙᲣᲠᲠᲝᲠᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲣᲗᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲠᲐ ᲛᲔᲢᲔᲠᲘᲗ ᲑᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ. ᲡᲣᲚ ᲙᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ — ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲓᲕᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდი და საზოგადოება

● ვილნიუსის ბავშვთა ოთახი. აქ, ერთმანეთის გვერდით ლამაზად ჩამწკრივებულ კარტოთეკებში ასობით მოზარდის გვარს შეხვდებით. მათ მიმართ შედგენილ საქმეს რომ გადახედავთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მოზარდთა უკანონოდ აღრიცხვაზე აუვანია ჩვეულებრივ გადაქცევიათ კანონის დამცველებს. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ არასრულწლოვანთა დიდი ნაწილი სწორედ სკოლის დაუნიებული მოთხოვნით არის აქ მოხვედრილი.

„გ. ა. აღრიცხვაზე იმყოფება ბავშვური სიცელქისათვის. იგი არის თავნება, სულ თამაში უნდა, გაკვეთილებს არ ამზადებს, ბებიას ატყუებს, ვისწავლეო და ძველ გაკვეთილებს უყვება. სკოლაში მოუსვენარია, ამხანაგებს სცემს, ჩქმეტს და ა. შ.“.

წვეთი წყალივით გვანან ერთმანეთს დახასიათებები. გია ცოცხალი ბავშვია, ნათელთვალებიანი, დარბის, მოძრაობს, ერთ ადგილზე ჯდომა არ შეუძლია, ხშირად არ ამზადებს გაკვეთილებს. დედას რამდენჯერმე ვთხოვეთ ბავშვი სკოლა-ინტერნატში მიებარებინა, სანამ მილიციის ბავშვთა ოთახი არ ჩავრიეთ საქმეში, მანამ საშველი არ დაადგა“.

გიას დედის ნახვა გადავწყვიტე.

ჩემ წინ სავარძელში სასიამოვნო გარეგნობის ინვალიდი ქალი ზის. ორივე ფეხი პარალიზებული აქვს.

— უიმისოდ ერთი წუთი არ შემიძლია, — თვალები ცრემლებით აევსო გულდათუთქულ დედას. — მაგრამ, აგერ უკვე მეოცე წელია მაწუხებს კლასის დარიგებელი, შემუქრებდნენ. — ერთხელ კი მთელი დელეგაცია მოვიდა ჩემთან — დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, ისინი მიმტკიცებდნენ, რა კარგად ვიქნებოდი გიას გარეშე, „ძალიან ცელქია, უკონტროლოდ გყავთ მიტოვებული, თქვენ სად შეგიძლიათ მისი დევნა?“ როგორ შემეძლო განცხადება არ დამეწერა, როცა ძალიან მკაცრად გამაფრთხილეს, თუ დაუყოვნებლივ არ დავთანხმდებოდი სკოლა-ინტერნატში გადაყვანაზე, ძნელად აღსაზრდელთა სპეცსკოლაში გადაგზავნიდნენ. მე კი ხომ ხედავთ, წყლის მომწოდებელი აღარავინ დამრჩა. ერთადერთი შვილი ასე მომწყვიტეს. რა იქნებოდა უფრო გულთან მიეტანათ ჩვენი ბედი და დაეტოვებინათ ჩემთვის“.

აი, ერთი მაგალითიც.

„დარბოდა სკოლაში, ხელს უშლიდა მეორე ცვლის ბავშვებს მეცადინეობაში“. დღითი დღე ემატებოდა მსგავსი შენიშვნები თამრიკოს დღიურში. ბებია კი-თხულობდა და გაოცებული იჩეჩავდა მხრებს, ვერაფრით ვერ მიეხვდარიყო: „მასწავლებელო მე რატომ მწერს ამას, თვითონ ხომ სკოლაშია, მე კიდევ სახლში, როგორ ვერ იმორჩილებსო?“. — უკვირდა. აღდადგებამდე ერთი თვით ადრე ბებია მკაცრად გააფრთხილეს: თუ თქვენ შვილიშვილს თვითონ არ გადაიყვანთ პროფტექნიკურში, საქმეში ბავშვთა ოთახის ინსპექციას ჩავრევთო.

— რა მოხდა, ნუთუ არ შეიძლება ამ პატარების დამორჩილება? — გამოდის, რომ სკოლა თვითონ წყვეტს ბავშვს მშობელს.

ბავშვები ცდილობენ თავიანთ მასწავლებელს ისევე გამოუძებნონ სუსტი ადგილი, როგორც ყველა იმას, ვისაც ემორჩილებიან. შეამჩნევენ თუ არა, მაშინვე იბრიყვებენ თუ აღარაფრად აგდებენ. რა მიზეზითაც პირველად კკარგავთ მათ თვალში სანთანდო ღირსებას, იმავე მიზეზით ვეღარ აღვიდგენთ მას. აი, ამის შემდეგ იწყება გაუთავებელი „ომი“ ე. წ. „ძნელად აღსაზრდელსა“ და მასწავლებელს შორის. მასწავლებლები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად მოიშორონ თავიდან ხელისშემშლელი, განაჩენიც სწრაფად გამოაქვთ — სკოლა-ინტერნატი ან პროფტექნიკური.

ამასობაში სკოლიდან გაგდების კანდიდატი, საბოლოო განაჩენის მოლოდინში ყოველგვარი აღმზრდელის გაელენის გარეშე აღმოჩნდება და დანაშაულს დანაშაულზე უმატებს.

„აღარავინ აღარაფრად არ მაგდებდა, ნივთად ვიქეცი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მოვკვდი. თუ ყველა ასე ფიქრობს, რომ მე ცუდი ვარ, მეც მზოლოდ ცუდად მოვიქცევი. დიდხანს ვერ გავძელი ასე. იმიტომ რომ ყურადღება მოექციათ, ფანჯრების ჩამტვრევა დავიწყე. ჩემი თუ არა სჯერთ, არც მე დავუჯერებ ვინმეს“, — კკითხულობ ერთი ძველად აღსაზრდელის აღსარებას. „ჩემი თუ არ სჯერთ, მეც არავის დავუჯერებ“, — ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემს წინ იდგა ის განაწყენებული ყმაწვილი და ვერაფერს ვმეველოდი. ასეთი ბავშვისათვის რომ შეიძლება, გაეგოთ. სხვა რა კრიტერიუმებიდან უნდა გამოვიდეს მასწავლებელი ნებისმიერი სასკოლო საქმის გადაწყვეტისას, თუ არა ბავშვის ინტერესებიდან, მასზე ზრუნვიდან. სამწუხაროდ, ხშირად საკუთარი ამბიციები, საკუთარი კეთილდღეობა და სიმშვიდე უფრო აინტერესებთ. ოღონდ კლასში წესრიგი არ დაირღვეს, არ შეწუხდნენ და სხვა დანარჩენი ყველაფერი ამას ეწირება. რატომ კარგავს სკოლა ამდენ მოზარდს? რატომ არის, რომ გულითადობით საქვეყნოდ ცნობილი ჩვენი საუკეთესო მასწავლებელი ქალები სულ უფრო ნაკლებად ეგებენ ბავშვების ტკივილს. განა პედაგოგებს სხვებზე უკეთ არ მოეხსენებათ, ის რაც უფროსებს ზოგჯერ ყურადღების ღირსადაც კი არ მიგვაჩნია, რა ღრმა კვალს სტოვებს მოზარდის ფსიქეაში, რომ სწორედ ახლა, ამ ასაკში ყალიბდება პიროვნება, სწორედ ახლა, სიქაბუკეში შესვლისას განსაკუთრებული მონდომებით უნდა ვზრდიდეთ მასში სიკეთეს, სათნოებას, უანგარობას, კაცური ღირსების გრძნობას. თუ ბავშვს დავსჯით, როცა სრულებით არაფერი დაუშავებია, ახდა მცირე დანაშაული აქვს და მკაცრად დავსჯით, დავკარგავთ ყოველგვარ ნდობასა და პატივისცემას. ბავშვებმა ყველაზე უკეთ, ზუსტად იციან, რაც დაიმსახურეს, კარგად ესმით, სამართლიანად შერისხეს თუ უსაფუძვლოდ. შეუსაბამო სიმკაცრე ისევე მაგნეა მათ აღზრდაში, როგორც შეუსაბამო ლმობიერება.

მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენას და სკოლის განაწესის დარღვევას არასრულწლოვანთა ინსპექციის თანამშრომლები სწავლისაგან ბოროტად თავის არიდებასთან აიგივებენ. მაშინ, როდესაც აკრძალულია სკოლისა და სასწავლებლის საქმეებში ჩარევა, რაც სასწავლო პროცესთან არის დაკავშირებული.

„რატომ ითვლება ის ბიჭუნა ჩვენთან მეორეხარისხოვან მოსწავლედ, ვინც სწრაფად ვერ ხსნის ამოცანებს. აბა დაავალეთ მას შეისწავლოს ავტომობილი მე-6 კლასში, ამ საქმეში ის დაჯაბნის ყველა ფრიადოსანს და თავსაც აღარ იგრძნობს უბედურად.

ხშირია საჩივარი, რომ პროფტექნიკურ სასწავლებელში ძალიან ბევრი ხულიგანი და უწესო ყოფაქცევის ბავშვია თავმოყრილი. რა გასაკვირია, ეს ხომ სკოლამ გადაყარა იქ „ბალასტი“, ე. წ. პედაგოგიურად ხელმომვებული ბავშვები. ეს სკოლამ დაბარალა მუშათა კლასი.

ბავშვებს ხშირად მიმართავენ — „დებილო! შენი ადგილი კოლონიაშია, არ ისწავლი და პროფტექნიკურში გიკრავენ თავს“. რა ვქნა? ვბრძანო — არ სცემოთ, შეურაცხყოფა არ მიაყენოთ ბავშვებს? ეს იგივეა გამოვცე დებულება იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში ფეხსაცმელებით დაწოლა არ შეიძლება. მე ვფიქრობ, დროა მოსწავლეს მივცეთ უფლება უხეშ მასწავლებელს უთხრას: მე თქვენს გაკვეთილებს არ დავეესწრები!

ვის შეუძლია ეჭვი შეეპაროს, თითქოსდა ბავშვს აზროვნების, შეფასებისა და თანმიმდევრული მსჯელობის უნარი არ ჰქონდეს. მართალია, ამას მხოლოდ წვრილმანებში ამჟღავნებენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი ბალღები არიან და მცირე გამოცდილება აქვთ. თუ მას სათანადოდ ვერ გამოთქვამენ, ბრალი მათ კი არა, მშობლებსა და აღმზრდელებს მიუძღვით“.

სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. იაგოდინის ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც თბილისის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების სამმართველოს უფროსს ნათელა ჩერქეზიას ვუსმენდი.

— რატომ იყოფიან ცუდად და კარგად ბავშვები? ვფიქრობ, ოდნავ მეტი გულის სითბოც საკმაოისია, ძნელადაღსაზრდელი რომ გამოგყვეს. ბავშვმა უნდა დაგიჯეროს, უნდა იგრძნოს, რომ მართლა შეგტკივა მისთვის გული, კოლექტივის გულცივობა, სიმკაცრე ბავშვებს გულჩახრობას, დაძაბულობას უნვითარებს, ბიჭებს კი ხშირად აგრესიულებს ხდის.

ერთ ასეთ მაგალითს მოგიყვანთ. მარინე ახლა უკვე 14 წლისაა, 10 წლისას გარდაეცვალა მშობლები, დარჩა 86 წლის ბებიის ანაბარა. პატარაობიდანვე გული წყდებოდა, რომ ბიჭად არ დაიბადა. მართლა იყო, იფიქრა, გოგო რომ ვარ, გამიჭირდება. თავიდან რომ ეეცილებინა ზედმეტი ყურადღება, გადაწყვიტა თმები მოკლედ შეეჭრა და შარვლით ევლო. მასწავლებელი სისტემატურად აძლევდა შენიშვნას, სკოლაში შარვლით მოსული არ დაგინახოო. თანდათან აიცრუა გული სკოლაზე. აბა, ეს რა ხალხია, როგორ ვერ გაიგეს ჩემი. ერთიროლა ბეჯითი იყო, ახლა უკვე სწავლაზეც აიყარა გული, „არეულისთვის“ კი არ უღალატია, შინ და გარეთ სულ ასე ბიჭივით გამოწყობილი დადიოდა. რასაკვირველია, აღმფოთდა სკოლა, არ დაუთმო გოგონას, გოგონამაც არ დათმო და როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, ამჯერადაც პროფტექნიკურ სასწავლებელში გაიგზავნა მარინე. სკოლამ შვებით ამოისუნთქა. აი, აქედან დაიწყო ყველაფერი. სინამდვილეში სკოლამ პირდაპირ ქუჩაში გაუშვა ბავშვი, მერე აღარავის მოუკითხავს. პროფტექნიკური სასწავლებელი, სადაც გოგონა გაამგზავრეს, ქალაქგარეთ, აეროპორტის დასახლებაში მდებარეობს; მარინე კი დავით აღმაშენებლის გამზირზე ცხოვრობს. დაუძლურებული ბებია ვეღარ აღვიძებდა გოგონას, ისიც ყოველდღე აგვიანებდა, ბოლოს საერთოდ აღარ მიდიოდა სასწავლებელში. საქმეში ჩაერია არასრულწლოვანთა საქმეების სამმართველო. გადავწყვიტეთ სკოლაში დაგვებრუნებინა გოგონა.

ქუჩის მაწანწალაა, უწესო ყოფაქცევისა, ხან რომელი მძღოლს დაათრევს და ხან რომელიო, არ ცხრებოდნენ პედაგოგები.

განყოფილებაში გამოუძახეს მძღოლებს. აღმოჩნდა, რომ მათ არც კი იცოდნენ, მარინე თუ გოგო იყო. მარინეს ისინი იცნობდნენ როგორც გიას, უყურებდნენ, როგორც პატარა ძმას, იცოდნენ ობოლი იყო და მფარველობდნენ მას, როგორც უპატრონო ბიჭს.

მარინე გონებრივად განვითარებული ბავშვია, სამ ენას ფლობს. ძალიან უნდოდა სკოლაში დაბრუნება. დღეს იგი თავის კლასელებთან ერთად აგრძელებს სწავლას.

აი, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იოლად შეუძლიათ გაწირონ ბავშვები მათ, ვისაც მათი დაცვა და მოვლა კანონითაც ევალებათ, ვინც ამ საქმისთვის ხელფასს იღებს. დემოკრიტე შენიშნავდა: „ბუნება და აღზრდა მსგავსი არიან. აღზრდა გარდაქმნის ადამიანს და ამ გარდაქმნით მეორე ბუნებას უქმნის“.

ზოგჯერ მოზარდი აღრიცხვაზე აჰყავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა შეიძლება როდისმე ჩაიდინოს დანაშაული. ეს რომ გავიგე, უნდა გამოგიტყდეთ, დაჯერებელი არაფერი მომჩვენებია, რომელ ჩვენთაგანს არ ამენია მსგავსი ინციდენტის შესახებ, შინაგან საქმეთა განყოფილების ზოგიერთი, არც თუ დიდად ტაქტიან თანამშრომლისაგან. ახლა არ ჩაუდენია, მერე ჩაიდენსო. — რომ გვიმტკიცებენ. შემოწმებისას ისეთი ფაქტიც კი გამოვლინდა, რომ, არა თუ ფაქტობრივი მონაცემები, ეჭვის საბაბიც არ არსებობს მოზარდის მიერ რაიმე სამართალდარღვევის ჩადენისა, და იგი მაინც იმყოფება აღრიცხვაზე. განა შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკს ჩვენზე უკეთ არ უნდა მოეხსენებოდეს, რომ არასრულწლოვანთა აღრიცხვაზე აყვანას საფუძველად უნდა ედოს ფაქტობრივი მონაცემები მათი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შესახებ?

ერთი პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე აღრიცხვაზეა სასწავლებლის სისტემატური გაცდენისათვის და ქურდობისათვის, თუმცა საქმეში არავითარი ცნობა არ მოიპოვება ქურდობის შესახებ.

მსგავსი მაგალითი უამრავია. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ზოგიერთი ინსპექტორი ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას; კმაყოფილდება მარტო მოზარდის აღრიცხვაზე აყვანით, რათა შექმნას ილუზია, რომ მუშაობს. სინამდვილეში კი არაფერს აკეთებს.

უდანაშაულო მოზარდი აიყვანო აღრიცხვაზე, ეს ხომ ადამიანის ელემენტარული უფლების აბუჩად აგდებაა?

კანონი ერთნაირია ყველასათვის, მათ შორის წესრიგის დამცველთათვისაც. არავისა აქვს უფლება მცირე დანაშაულში, პატარა ცოდვაშიც კი დასდოს ბრალი ადამიანს, თუ კი ამის უტყუარი საბუთი არ გააჩნია.

ვინ იცის, რამდენი მწარე წუთი განაცდევინა მოზარდებს მათი ღირსების უსაფუძვლო შელახვამ.

თბილისის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილებამ შეამოწმა ინსპექციაში არასრულწლოვანთა აღრიცხვაზე აყვანის კანონიერება. თბილისის მარტო ოთხ რაიონში აღრიცხვიდან მოიხსნა სამოცდაათი მოზარდი, ხოლო მიღებული წარდგინებების გათვალისწინებით გადამოწმდა აღრიცხვიანობის კანონიერება და მარტო 1988 წლის I კვარტალში აღრიცხვიდან მოიხსნა 285 მოზარდი.

— არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ერთი მიზეზი, — გვითხრა ქალბატონმა ნათელამ, — ისიც არის: არასრულწლოვანთა შორის მომუშავე ინსპექტორებს, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად აკრძალულია მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, უმეტესწილად სხვა დავალებებს აძლევენ, ფიქრობენ, თითქოს უფრო ნაკლებად პასუხსაგები საქმეები ჰქონდეთ საკეთებელი, მათ სისტემატურად ამორიგებენ ღამით, გზავნიან სხვადასხვა რეიდებში და დრო აღარ რჩებათ თავიანთი ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად — მიხედონ არასრულწლოვანთ.

ამ ცოტა ხნის წინ ასეთი წესი შემოიღეს: არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია იმ ოჯახებით არის დაკავებული, ვისმა ბავშვებმაც უკვე დაარღვიეს მართლწესრიგი. ხოლო ის ოჯახები, სადაც თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მშვიდად გადასცეს უბნის რწმუნებულების „გამგებლობაში“. გამოდის, ყველაზე საჭირო სფერო — ოჯახური უთანხმოების ადრეული პროფილაქტიკა — შეხვდათ ისეთ სპეციალისტებს, რომლებიც ისედაც საკმაოდ არიან დატვირთულნი.

არის შემთხვევები, როდესაც რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების სხდომებზე, საქმის გარჩევამდე, არასრულწლოვანს და მის მშობლებს არ აცნობენ საქმეში არსებულ ყველა მასალას, ხშირად არც ასრულებენ საქმის განხილვას. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

ასეთი კომისიების მუშაობის მთელი სიმძიმე გადატანილია მის პასუხისმგებელ მდივანზე. კომისიის წევრები კი საქმეებს თითქმის არ სწავლობენ, რასაც სხდომაზე მოისმენენ, იმით კმაყოფილდებიან. მათი საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ სხდომაზე დასწრებით და კენჭისყრაში მონაწილეობით. ეს ნაკლოვანებები თბილისის თითქმის ყველა რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ახასიათებს. ხშირად საკითხს ისე ისმენენ, რომ სამართალდარღვევების ფაქტს არც კი იხილავენ, თუმცა არ მოიპოვება ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე მონაცემი. საქმეში არც არასრულწლოვანის დახასიათებაა, არც ის ჩანს, ჩაუდენია თუ არა ადრე დანაშაული და აი ასე, მოუმზადებლად იღებენ გადაწყვეტილებას.

ხშირად კომისიის სხდომებზე ერთდროულად 20, ზოგჯერ კი ოცდაათზე მეტი საკითხი იხილება. ეს კი, ბუნებრივია, მათი მომზადების ხარისხზე მოქმედებს. ზოგჯერ ისეთ საკითხებსაც იხილავენ, რომლის გადაწყვეტა მათ კომპეტენციაში არ შედის. ნაცვლად იმისა, რომ კომისიამ სამართალდარღვევ არასრულწლოვანს თვითონ დაუნიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელი, სხვებს ავალებს ამ ფუნქციის შესრულებას.

— შემოწმების დროს „გამოიკვეთა, — გვეუბნება ქალბატონი ნათელა, — რომ რაისაბჭოს აღმასკომების ხელმძღვანელობა ზერელედ ეკიდება ისეთ სერიოზულ საკითხს, როგორიცაა არასრულწლოვანთა შრომითი მოწყობა. მთელ რიგ რაიონებში აღნიშნული საკითხი მოუწესრიგებელია, მოზარდი მიდის საწარმოში, ხელმძღვანელობა კი სამუშაოდ არ იღებს, არ ითვალისწინებს იმ შეღავათებს, რაც მათთვის არის დაწესებული.

თბილისის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილება ბევრს აკეთებს პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნისათვის. ბევრი სიახლეა მის მუშაობაში. განყოფილების მუშაკები პირადად ხვდებიან ძნელად აღსაზრდელებს და უზრდამზედველოდ დარჩენილ არასრულწლოვანებს, ყოველნაირად ცდილობენ, დანაშაულს აიცილონ ისინი.

სისტემატურად მოწმდება არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებლებში მოზარდთა წარმოდგენისა და მოთავსების კანონიერება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაისაბჭოს აღმასკომებში არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებში სპეცსასწავლებელში გასაგზავნ ბავშვთა კონტინგენტის შემოწმებას, მათ კანონიერებას.

ტრადიციად იქცა სამართლის პროპაგანდის მიზნით სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში ლექციების, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა. ამავე მიზანს ემსახურება სამართლის უნივერსიტეტი, რომელსაც ნათელა ჩერქეზია ხელმძღვანელობს.

დიდია განყოფილების წვლილი იმაშიც, რომ ამ ბოლო დროს საგრძნობლად იკლო დანაშაულთა რიცხვმა.

• • •

„ბავშვები ჩვენი მომავალია“ — სრულიადაც არ გახლავთ მარტო ხატოვანი გამოთქმა. მომავალი საზოგადოების სახეს ხომ მთლიანად განსაზღვრავს მომავალი მოქალაქის მორალური და სოციალური სახე; ჩვენზე, დღევანდელ ადამიანებზე, მშობლებზე, მასწავლებლებზე, ოჯახზე, სკოლაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და საზოგადოების კეთილდღეობა. ამიტომ გვაზეზეელია ჩვენი პასუხისმგებლობა, ამიტომ არა გვაქვს შეცდომის უფლება.

მარადი ანასაშვილი.



● ზამთრის დილა.

სიმონ კილაძის („კომუნისტი“) ფოტო.

სცენაზე არიან მოზარდები

22 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ბავშვთა თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების ი. სუხიშვილის სახელობის პრიზზე რესპუბლიკური კონკურსის დასკვნითი ტური.

ილიკო სუხიშვილის სახელობის მთავარი პრიზით დაჯილდოვდნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლები „ცისკარი“ და „იმედი“.

სურათზე: სცენაზე არიან მოზარდები.

● ამ დღეებში კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა ახალგაზრდა პედაგოგთა შეკრება. მასწავლებლებმა პირუთვნელად, გულახდილად, გაბედულად ისაუბრეს განათლების გარდაქმნის დაჩქარების მთავარ წყაროებზე.

სურათზე: გორის რაიონის სოფელ რეხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები ლალი სირბილაძე, თბილისის 30-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მამუკა ნაცვალაძე და ამავე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელისო ჭარდავა, გალის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე გელა ჭანტურია და თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ლეილა ტურძელაძე შესვენებისას.

ვარლამ გენგიურის („კომუნისტი“) ფოტო.

არა გვაქვს შეცდომის უფლება

ელისო ბოლქვაძის წარმატება

● მოსფილიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალურ დათვალიერებაზე დიდი წარმატება ხვდა ქართველ პიანისტს ელისო ბოლქვაძეს. ხუთ საბჭოთა შემსრულებელს შორის თბილისის კონსერვატორიის 22 წლის სტუდენტი მაისში ჩვენს ევეყანას წარმოადგენს ტეხასში (ამერიკის შეერთებული შტატები) ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე. ეს უფლება მან მოიპოვა, როცა წარმატებით გაიარა ლენინგრადში დამთავრებული შესარჩევი ტური.

— ჩვენი არჩევანი შევაჩერეთ იმაზე, ვინც არა მარტო ცხადყო საუცხოო ტექნიკა, არამედ გამოავლინა მკაფიო ინდივიდუალურობა, არაორდინალური მუსიკალური აზროვნება. ელისო ბოლქვაძე ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდ ქებას იმსახურებს. მის დაკვრაში მე აღვნიშნე უწინარესად არაჩვეულებრივი ტექნიკური თავისუფლება. განსაკუთრებით დამაჯერებლად აღიერდა მისი შესრულებით მოცარტის სონატა სი ბემოლ მაჟორი, შოპენის „ბრწყინვალე პოლონეზი“ და ლისტის „ცთომილი ჩრაღდნები“. იგი ძალიან ნიჭიერი პიანისტია. ვფიქრობ, მას დიდი მომავალი აქვს, — გვიზიარებს შთაბეჭდილებებს შესარჩევი ტურის ჟიურის წევრი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი სერგი დორენსკი, — ელისოს წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის პროფესორ თენგიზ ამირეჯიბს, რომელსაც დიდად ვაფასებ, როგორც პიანისტს და მიმაჩნია ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ საუკეთესო ფორტეპიანოს პედაგოგად. ჩემთვის სასიამოვნო იყო გულით და სულით მიმღოცა პატივცემული თენგიზისათვის ნიჭიერი მოსწავლე. (საძინფორმი).

პრემიის თანხა — ძეგლს

● ვერცხლის მედალი და 50 მანეთი ფულადი პრემია მიიღო ლენინგრორის საბავშვო სახლის აღსაზრდელმა გელა ილურიძემ. ჯილდო მოვიდა მოსკოვიდან, სადაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარდგენილი იყო მოზარდის მიერ დამზადებული ხის სხვადასხვა ნაკეთობა. გელამ გადაწყვიტა მთელი თანხა ჩაუშვას ყუალაბაში, რომელიც განკუთვნილია დავით აღმაშენებლის ძეგლის მშენებლობისათვის სახსრების შესაგროვებლად. (საძინფორმი).

მიწისძვრა ტაჯიკეთში

დუშანბე, 23 იანვარი (საკდესი). დღეს 2 საათსა და 02 წუთზე მოსკოვის დროით ტაჯიკეთის ტერიტორიაზე მოხდა ძლიერი მიწისძვრა. სეისმური სადგურის „დუშანბეს“ მონაცემებით მისი ეპიცენტრი მდებარეობდა რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით 50 კილომეტრზე, გისარის რაიონის შაორის უღელაში. ბიძგის ძალამ აქ მიაღწია 7 बალს 12-बालიანი სკალით. დაინგრა შენობები. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა ათასამდე ადამიანი. განსაკუთრებით დაზიანდა თიხატაკეპნილი საცხოვრებელი სახლები, დამშმარე ნაგებობანი. ყინულაყთან ახლომდებარე გორაკიდან დაცურდა ორ კილომეტრამდე სიგრძის მეწყერი.

დაბა გისარის მცხოვრებლებმა იგრძნეს 5-6 बालის მიწისძვრა, ქალაქების დუშანბესა და თურსუნზადეს მცხოვრებლებმა 5, ნურეკისა — 3-4 बालი.

სპორტი

გბასულ შაბათ-კვირას გამართულ ასპარეზობათა მიმოხილვას კალათბურთით დავიწყებთ. უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები თბილისის დინამოელებმა რიგაში, ადგილობრივ ვეფ-თან გამართეს. პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, მახპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა (92:85). განმეორებითი შეხვედრის დებიუტი კვლავ რიგელთა უპირატესობით წარიმართა, ისინი უფრო ზუსტნი იყვნენ თავდასხმაში, საიმედოდ თამაშობდნენ დაცვაშიც და ტაიმი 11 ქულის უპირატესობით მოიგეს — 58:47. შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი რადიკალურად შეიცვალა: „დინამომ“ ხელი იგდო ბრძოლის სადავეები, თანდათან აღადგინა წონასწორობა, მატჩის ბოლოსათვის კი წინ გავიდა და გაიმარჯვა —98:95. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: კაუნასის „ჟალგირისი“— ალმა-ათის ახკ — 110:99 და 111:91, კიევის „სტროიტელი“ — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 109:72 და 97:76, მოსკოვის დინამო“ — მინსკის რტი — 96:72 და 95:96. სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ ალმაათელები არიან, უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა 22 თამაშიდან 37 ქულა მოაგროვეს, თბილისის „დინამოს“ 18 თამაშიდან 25 ქულა აქვს და მეათე ადგილზეა. ჩვენი გუნდი მორიგ ტურში 25 იანვარს უმასპინძლებს ვილნიუსის „სტატიბას“. თბილისელ კალათბურთელთა სატურნირო მდგომარეობა კვლავ არახახარბიელია. მათ ყველაზე მეტი ქულა დაკარგეს მიმდინარე ჩემპიონატში და ახლა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა თავი დაიღწიონ საშიშ ზონას.

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი კარგა ხანია დაიწყო, ფეხბურთელები კი განაგრძობენ მზადებას ახალი სეზონისათვის. თბილისის დინამოელებმა ზაარბრიუკენიდან დასავლეთ ბერლინში გადაინაცვლეს და მინი-ფეხბურთის ახალ ტურნირში ჩაებნენ. გუშინ მოვიდა ცნობა, რომ „დინამომ“ ნახევარფინალში ანგარიშით 3:5 (0:3) დამარცხდა დასავლეთ ბერლინის „ბლაუ-ვაისთან“ და მესამე ადგილისათვის გფრ-ს „ჰამბურგს“ უნდა ეთამაშოს. ფინალში კი „ბლაუ-ვაისის“ მეტოქე იქნება ბრემენის „ვერდერი“ (ბრემენელებმა ნახევარფინალში „ჰამბურგი“ დაამარცხეს— 3:1). ამასობაში ნიურნბერგში დამთავრდა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს კიევის დინამოელებმა. მათ ჯერ შტუტგარტის „კიკერსი“ დაამარცხეს (7:4), შემდეგ — ადგილობრივი საკლუბო გუნდი „ნიურნბერგი“ — 8:1. ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ანატოლი დემიანენკო, ყველაზე მეტი გოლი კი იგორ ბელანოვმა გაიტანა — 6. კიევიდან ერთი საფეხბურთო ინფორმაცია: ინდოეთის ქალაქ მარგაოში დაიწყო ახალგაზრდული გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის თასზე. პირველ ტურში საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 1:0 მოუგო ერაყის ნაკრებს. ჩვენი ფეხბურთელები ქვეჯგუფში კიდევ სამ შეხვედრას გამართავენ, ფინალი 4 თებერვალს მოეწყობა.

იანვრის ვნებათა ღელვანი

სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საბჭოთა ფიგურისტებმა ბირმინგემში (ინგლისი) დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში. შეჯიბრების ბოლო დღეს მედლებისათვის იბრძოდნენ ქალები. პირველ ადგილზე გავიდა დასავლეთგერმანელი კლაუდია ლიაის-ტნერი, მეორეზე — სვერდლოვსკელი ნატალია ლებედევა, მესანეზე — პატრიცია ნესკე (გფრ). სპეციალისტებმა და მიმომხილველებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ფიგურისტების ოსტატობას. დამთავრდა ევროპის კიდევ ერთი ჩემპიონატი — ვენგრეთის ქალაქ გეტებორგში. მედლები გაინაწილეს ციგურებით სწრაფმორბენლებმა. აქ საბჭოთა გუნდის შედეგები შედარებით მოკრძალებულია. ჩვენმა სპორტსმენებმა განსაკუთრებით სუსტად იაპარეზეს ბრაგალეგიდ მაგანან საუკეთესომ, ჩელიაბინსკელმა ანდრია ერმოლინმა მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

საინტერესო ამბები ელით ქალაქ ოიანდრაკის მოყვარულებს. კვებეკში (კანადა), როგორც ცნობილია, დაიწყო მეოთხედფინალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე არტურ იუსუპოვსა (სსრკ) და კევინ სპრაგეტს (კანადა) შორის. პირველ პარტიაში ყაიმი აღინიშნა, მეორე კი 54-ე სვლაზე კანადელი დიდოსტატის გამარჯვებით დამთავრდა. სპრაგეტი დაწინაურდა — 1,5:0,5. მალე საჭადრაკო დაფებს მიუსხდებიან ანატოლი კარპოვი — ოიჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) და იან ტიმანი (ჰოლანდია) — ლაიოშ პორტიში (უნგრეთი).

საბჭოთა ხელბურთელებმა (ვაჟები) შარშან, სეულში ოლიმპიური ასპარეზობის ოქროს მედლები მოიპოვეს. ამიტომ, შემოხვევით არ არის, რომ დასავლეთ გერმანიის უძველესი სადაზღვევო კომპანია — „დოიჩე ბერლოდი“ ოთხი წლით სწორედ ჩვენი ნაკრების სპონსორი გახდა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ კომპანიის რეკლამიანი ფორმით პირველად იასპარეზეს დორტმუნდში (გფრ). გამართულ ტრადიცი